თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1186709

ნომერი: AR1206519

თარიღი : 24.03.2014

გაცემის თარიღი : 04.04.2014

გაცნობის თარიღი : 04.04.2014

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ზაჰესი , ქუჩა ავჭალა , N 74 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მარიამ პაპუკაშვილი პ/ნ 01008044858
- თბილისი თ.აბულაძის ქ. N 22 ბ. 3

ნომენკლატურა :

- ქალაქგეგმარება
- ფუნქციური ზონის ცვლილება

გადაწყვეტილება

არქიტექტურის სამსახური გაეცნო თქვენს AR1206519 განცხადებას, რომლითაც გსურთ ნაკვეთის ფუნქციური ზონის ცვლილება სასოფლო-სამეურნეოდან არასასოფლო-სამეურნეოთი. პასუხად გაცნობებთ, რომ საჯარო რეესტრის მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: #72.12.02.389) ამონაწერში, დღეის მდგომარეობით, საკადასტრო ერთეულის დანიშნულება წარმოადგენს არასასოფლო–სამეურნეოს.

ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 5 ივნისის #6-17 გადაწყვეტილებით დამტკიცდა დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმა, რომელიც განსაზღვრავს დასახლებათა ტერიტორიების გამოყენების (მიწათსარგებლობის) და განაშენიანების ძირითად პარამეტრებს, კეთილმოწყობის, გარემოსა და უძრავი კულტურული მემკვიდრეობის დამცავ სივრცით-ტერიტორიულ პირობებს, სატრანსპორტო, საინჟინრო და სოციალური ინფრასტრუქტურის, ასევე ეკონომიკური განვითარების სივრცით ასპექტებს და განსახლების ტერიტორიულ საკითხებს.

თქვენს დაინტერესებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის–რუკის, მიხედვით ვრცელდება სარეკრეაციო ზონა 3 (რზ–3). ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის გადაწყვეტილება #4-13 ,,ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესები”-ს თანახმად სარეკრეაციო ზონა 3 (სზ–3), წარმოადგენს ზონას, რომელიც მდებარეობს განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში, სადაც დასაშვებია დასასვენებელი, სამკურნალო, სპორტული და გასართობი დანიშნულების შენობა- ნაგებობების განთავსება. ასევე, დასაშვებია ამ წესების დანართი -1-ით განსაზღვრული ძირითადი და სპეციალური ზონალური ნებართვით დაშვებული სახეობები(იხ.დანართი).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ თქვენს მიერ დაკონკრეტებული იქნება მოთხოვნა არქიტექტურის სამსახურს მიეცემა შესაძლებლობა ხელახლა განიხილოს აღნიშნული საკითხი.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge